

**ს.ს.ი.პ “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის”
აღმასრულებელი საბჭოს
სხდომა**

21 აპრილი, 2010 წელი

ს.ს.ი.პ “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის” მისამართი:

ქ.თბილისი, ბარნოვის ქ. №75

სხდომის დაწყების დრო:19:30

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები:

ზაზა ხატიაშვილი(თავმჯდომარე), ცისმარი ონიანი, ქეთევან ბექაური, ნოდარ ფეიქრიშვილი, იოსებ ბარათაშვილი, გოჩა სვანიძე, ზვიად კორძაძე, იმედა დვალიძე.

დღის წესრიგი

1. ს.ს.ი.პ “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის” 2010 წლის ბიუჯეტის დამტკიცება;
2. 2010 წლის 8-9 აპრილს კიევში გამართული კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების ადვოკატურების წარმომადგენელთა შეხვედრის მომხილვა (მომხსენებელი იოსებ ბარათაშვილი);
3. ასოციაციაში გასაწევრიანებელი პირთა განცხადებების განხილვა და წევრად მიღება;
4. საწევრო გადასახადის შეღავათებთან დაკავშირებული განცხადებების განხილვა;
5. მიმდინარე საკითხები

გ ა დ ა წ ყ დ ა:

1.ასოციაციის ბიუჯეტთან დაკავშირებით, საბჭოს ყველა წევრს დაეგზავნოს საშტატო განრიგი და ბიუჯეტის პროექტი განხილვისა და შესწორებების შეტანის მიზნით.

2. საქართველოს კანონის “ადვოკატთა შესახებ” მე-10 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად დაკმაყოფილებულ იქნას გასაწევრიანებელი

პირების საბუთები განმცხადებელი შალვა რომანაძის გარდა, მის მიერ ნასამართლობის ცნობის ხელმეორედ წარმოდგენამდე.

3. 2010 წლის საგაზაფხულო ტესტირების რეგისტრაციის ვადა გაგრძელდეს 30 აპრილამდე.

4. საკვალიფიკაციო ტესტირების კომისიის თავმჯდომარეს განესაზღვროს ხელფასი 1000 ლარის ოდენობით.

5. საწევრო შეღავათებთან დაკავშირებული საკითხების განხილვა გადაიდოს საბჭოს, უახლოეს სხდომაზე.

ზაზა ხატიაშვილი

**ს.ს.ი.პ “საქართველოს ადვოკატთა
ასოციაციის” თავმჯდომარე**